ხელშეკრულება №269სშ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV 55300000)

ერთი მხრივ, **სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი** (ს/კ 211358957), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **ინდივიდუალური მეწარმე ქეთევანი გახუტიშვილი** (ს/კ 01015022006), შემდგომში ნახსენები „**მიმწოდებლად**“, ორივე ერთად წოდებული როგორც „**მხარეები**“, ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „**ხელშეკრულების ღირებულება**“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „**დღე**“, „**კვირა**“, „**თვე**“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „**შემსყიდველი**“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „**მიმწოდებელი**“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „**მომსახურება**“ – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7. „**ინსპექტირება**“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი
2023 წლის 27 დეკემბერს საახალწლო ღონისძიების ფარგლებში მოწვეული სტუმრებისათვის ფურშეტის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა №1 დანართის შესაბამისად
(CPV 55300000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1’780.00 (ერთი ათას შვიდას ოთხმოცი) ლარს, დღგ-ს გარეშე.**
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ისე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-სა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს მ/წლის 27 დეკემბერს **მოწვეული სტუმრებისათვის ფურშეტის მომსახურების** გაწევა №1 დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად;
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**
ა) უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;
გ) მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

5. მომსახურების ხარისხი

გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს. დანართი №1-ით მოწოდებული საქონელი უნდა იყოს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება მომსახურების გაწევისას.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს **სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კვაჭანტირაძე.**

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს იგი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: 2023 წლის საკუთარი შემოსავლები.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადების და პირობების ან/და 6.3 პუნქტით განსაზღვრული ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ერთჯერადად ხელშეკრულების ღირებულების **20%**-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მხარეები იტოვებენ უფლებას, შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოსთხოვონ დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორსმაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით.
15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინითა და სხვა.
15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. საერთო პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1
ტელეფონი: 2 38 14 25
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ. №GE24NB0330100200165022
ს/კ: 211358957

მიმწოდებელი

ინდივიდუალური მეწარმე ქეთევანი გახუტიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ფაბრიკის შეს. №12
ტელეფონი: (+995) 555 005 015
ელფოსტა: Canapea.info@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. №GE90BG0000000541564158
ს/კ: 01015022006

Ketevani Gakhutishvili 01015022006

Digitally signed by Ketevani Gakhutishvili
Date: 2023.12.21 12:46:06

დანართი №1

შესყიდვის ობიექტის დასახელება	**მენიუ**	**რაოდენობა**	**ერთ. ფასი დღგ-ს გარეშე (ლარი)**	**მთ. ფასი დღგ-ს გარეშე (ლარი)**	**მომსახურების გაწევის პირობები, დრო და ადგილი**
ფურშეტის მომსახურება **50 პერსონაზე**	კანაპე ლორით და ყველით	50 ცალი	2.50	125.00	**ფურშეტი:** 2023 წლის 27 დეკემბერი 16:00 სთ **მიწოდების ადგილი:** ქ. თბილისი, პეკინის ქ. №40, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონი
	ქათმის მწვადი ჩხირზე	50 ცალი	2.00	100.00	
	მინი ქაბაბი	50 ცალი	2.00	100.00	
	კანაპე ნიგვზიანი ბადრიჯანი	50 ცალი	2.00	100.00	
	ისპანახის ბურთები მჭადზე	50 ცალი	2.00	100.00	
	კანაპე სოკოს სალათი	50 ცალი	2.00	100.00	
	მინი ხაჭაპური	50 ცალი	2.00	100.00	
	მინი ლობიანი	50 ცალი	1.50	75.00	
	ღვეზელი ხორციანი	50 ცალი	2.00	100.00	
	ბლინი ყველის	50 ცალი	2.00	100.00	
	კანაპე ორაგულის	50 ცალი	2.50	125.00	
	ქართული ნუგბარი	1 ცალი	30.00	30.00	
	მინი შუ	50 ცალი	1.50	75.00	
	მინი ეკლერი	50 ცალი	2.00	100.00	
	ტარტალეტკა	50 ცალი	2.00	100.00	
	ნატურალური წვენი	50 ცალი	1.50	75.00	
	წყალი	25 ცალი	1.00	25.00	
	ჩაი	50 ცალი	1.50	75.00	
	ყავა	50 ცალი	2.00	100.00	
	ღვინო თეთრი	5 ცალი	15.00	75.00	

სულ ღირებულება დღგ-ს გარეშე: 1’780.00 (ერთი ათას შვიდას ოთხმოცი)

შემსყიდველი

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1
ტელეფონი: 2 38 14 25
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ. №GE24NB0330100200165022
ს/კ: 211358957

მიმწოდებელი

ინდივიდუალური მეწარმე ქეთევანი გახუტიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ფაბრიკის შეს. №12
ტელეფონი: (+995) 555 005 015
ელფოსტა: Canapea.info@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. №GE90BG0000000541564158
ს/კ: 01015022006

Ketevani Gakhutishvili 01015022006

Digitally signed by Ketevani Gakhutishvili
Date: 2023.12.21 12:45:09